ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლენტეხი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 39 (6628) 6 ოქტომბერი ხუთშაბათი

## დღეს ნომერშია:

*ორბელი: ახალი გამგებელი, ახალი ინიციატივა
* წ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი
ანუ
დაგვიანებული პასუხი ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგებს
* ს ე ნ ს ა ც ი ა
რუსეთში რეგისტრირებულია კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატი.
* ჩვენი ლიტერატურული არქივიდან.
* რეკლამა, განცხადება —
ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონული წარმომადგენლობა ყურადსაღებ სიახლეებს გთავაზობს.

## დღეს უკვე ჩვენთვის მუშაობს ამინდი, საშურია ჭირნახულის დაბინავება!

დღეს უკიდურესი გაჭირვებაა ქალაქად თუ სოფლად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პურის ფასი ისე კატასტროფულად გაიზარდა ალბათ ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი ოჯახიც კი ვერ შეძლებს მის ყოველდღიურ ყიდვას. ასე რომ, არსებობს სხვა გზა გარდა იმისა რომ ჩვენივე შრომით დავარჩინოთ ოჯახი, ვიდრე რაიმე მოწესრიგდებოდეს გადავარჩინოთ საარსებო მინიმუმი.

წლევანდელი ხანგრძლივი გვალვების გამოუსადეგობაში ჩავარდა სოფლის მშრომელი, მაგრამ მადლობა ღმერთს, მოსავალი მაინც გამოჩნდა და უამინდობის პირობაზე ასე თუ ისე არა უშავს. ამიტომ დღეს მოწეულის დაბინავებაა საშური საქმე.

ვინაც შრომის ყადრი იცის, ჩვენგან არაფერი ესწავლება. მოსავლის აღება დროულად დაიწყო და ბევრგან, განსაკუთრებით სიმინდის ყანები, რომელიც ვადაზე ადრე დამწიფდა და გადამწიფდა, აღებულია. პარალელურად მიმდინარეობს ხილის დაბინავებაც.

მაგრამ ყველა არ ჩქარობს. ამაზე მეტყველებს ჯერაც მოუჭრელი ყანები. ცხადია ბევრს არ შეუძლია აუვიდეს ერთბაშად მოზღვავებულ საქმეს, არა ჰყავს ხარი, დამხმარე. ამიტომ, როგორც არასდროს, ისე უნდა დავუდგეთ დღეს მხარში ერთმანეთს, დავეხმაროთ რითაც შეგვიძლია — ტექნიკით საწვავით, ხარ-ურმით ჩვენი ფიზიკური ძალით სხვანაირად არ შეიძლება — მეზობლის, ახლობლის დამშევა ჩვენი შიმშილია, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერთმანეთი.

წელს ყურძენი თითქმის ერთი თვით ადრე შემოვიდა. ტრადიციისამებრ ოქტომბრის ბოლო დღეებში ვიწყებდით მასიურ რთველს. დღეისთვის თითქმის ყველა ჯიში მწიფეა შაქრიანობაც მაღალია. მთავარია დავაჩქაროთ ყურძნის კრეფა, მით უფრო, საადრეო ჯიშების. გასათვალისწინებელია, რომ სინოპტიკოსების ვარაუდით ცივი და წვიმიანი დღეებია მოსალოდნელი.

ხეხილის ბაღები ძალზე შეაწუხა ზაფხულის გვალვამ. უმწიფარი ხილი ნაადრევად ჩამოცვივდა და დალპა. რაც შერჩა, ის მაინც უნდა დავკრიფოთ დროულად.

საკუთარი შრომის იმედად მყოფმა მოსახლეობამ მებოსტნეობასაც მიჰყო ხელი. ბოსტნეული კულტურების მოყვანისთვის ლენტეხში მიწაც საუკეთესოა და ბუნებრივი პირობებიც. ბევრი მიუბრუნდა ამ დარგს და ოჯახი საკუთარი წარმოების ბოსტნეულით არის წლიდან წლამდე. ნამეტი ბაზარშიც გააქვს. ხვალ და ზეგ ალბათ ყველა ოჯახს ექნება ბოსტნეულის სამყოფი მოსავალი. ისე როგორც ყველა კულტურა, ბოსტნეულიც ელის ჩვენგან დროულ დაბინავებას.

გულითადი შემოდგომაა, ძვირფასო მშრომელებო! გონივრულად გამოვიყენოთ ყოველი დღე და საათი, არ დავკარგოთ წვითა და ოფლით მოწეული მოსავლის არც ერთი კილოგრამი, საიმედოდ დავაბინაოთ რაც მოწეულია.

## ამ დღეებში

გადავარჩინოთ სიცოცხლე და მშვიდობა — ამ დევიზით გაიმართა აქცია „თეთრი მანდილი" თბილისში.

* * *

ნატოს მიწვევით ბრიუსელში იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია, რომელიც შეხვდა ნატოს სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებს, განიხილა ხატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობის საკითხები, მათ შორის „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივები.

* * *

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისიის სამსახურის მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ადოლფ ივერტს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არ ჩანს რეალური ძვრები ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნების პროცესში, პირველ რიგში აფხაზთა ხელმძღვანელობის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო.

* * *

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შედგა მეღვინეობის საწარმოთა აქციონირებისა და პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებული თათბირი. აღნიშნულ დარგში გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყურძნის მოსავლის დროული აღებისა და ღვინო-პროდუქტების წარმოების უზრუნველსაყოფად.

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 1994 წლის ყურძნის მოსავლის შესყიდვის შესახებ

1994 წლის ყურძნის დამზადების პროცესის მოწესრიგების მიზნით მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1 კგ. კონდიციური ყურძნის შესყიდვა განხორციელდეს საშუალოდ 500 რუბლად, რომელიც ქარხნების მიერ დაიფარება შესაბამისი რაოდენობის ღვინის რეალიზაციიდან მიღებული თანხებით ან ნატურით. ანაზღაურება მათ შორის შარშანდელი წლის დავალიანებისა, უნდა მოხდეს 1995 წლის 1 იანვრამდე. ღვინის რეალიზაციის და ყურძნის მწარმოებლებთან ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დასმულია საკითხი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე ყურძნის ღვინოზე აქციზების შემცირების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადება ღვინოზე აქციზის გადასახადის შემცირებით გამოწვეული ბიუჯეტის შემოსავლის დანაკლისის შესავსებად სხვა პროდუქტებზე აღნიშნული გადასახადების გადიდების (შემოღების) შესახებ.

დაევალოს დეპარტამენტ „საქენერგოს" ყურძნის მიღება-დამუშავების პერიოდში უზრუნველყოს ღვინის ქარხნები საჭირო ელექტროენერგიით.

სოფელი

## პრობლემებთან მარტო რომ არ დარჩე...

ორბელის საკრებულოს გამგებელთან იმ დღეს სამწუხარო გარემოებამ მიგვიყვანა პირველკლასელი სკოლაში ვერ მივიდა. პაწია სკოლის კიბეს მგარს მიდგომოდა და აცრემლებული შესცქეროდა აჟივლებულ თანატოლებს, ფეხთ არ ეცვა და ტანთ არ ემოსა, კარის შეღება რომ გაებედა. ამ გულისმომკვლელ სურათს ჩვენ არ შევსწრებივართ, მაგრამ შეწუხებულ პედაგოგთა ნაამბობმა გაგვიცხადა. ჩვენც (განათლების განყოფილების მეთოდისტს მარინე ბურჯალიანს ვახლდი სკოლაში) დახმარებისთვის დაუყოვნებლივ სოფლის გამგებელს მივმართეთ — სოფელს, მით უმეტეს ისე ღონიერს, როგორიც ორბელია, ერთი ბავშვის სასწავლოდ „გამოწყობა" არ უნდა გაჭირვებოდა. არც გაჭირვებია. მიხვდა თუ არა, რას ვითხოვდით მისგან მყისვე დასტური გვითხრა, დღესვე შინიდან გამოვუტანო გოგონას ყველაფერს. ახლა ის ბავშვი თანატოლებთან უზის მერხს და ალბათ აღარც ახსოვს მისი პირველი, მწარე პირველი სექტემბერი..

ოთარ კვენეტაძე ხუთი თვეა ორბელის საკრებულოს სოფლებს განაგებს. ვერ ვიტყვით, რომ ამ ხუთ თვეში რაიმე მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა ორბელელთა ცხოვრებაში. ბევრს საერთოდ არ შეუმჩნევია გამგებლის შეცვლა. მაგრამ რაღაც მაინც მოხდა. ახალმა გამგებელმა უპირველესად ხალხთან შეხვედრა ისურვა. მის საგამგებლო ათი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრობლემებთან

## მარტო რომ არ დარჩე...

(დასასრული)

ეს სოფელში კომბაინი ჩააცალა და ხალხს სთხოვა სოფლის თავკაცთა აირჩევა. ამიტომ სოფელმა აირჩია თავკაცი, უფროსი სოფლისა და გამგებლის, მთავრობის თანის. ოთარ კვინიკაძის აზრით, ხალხმა ისრისთავად კორგის არჩევას გაეკიდა, რადგ სოფლის აკ კორგის მცოდნე და მისტვის გულშემატკივარ ადამიანს მიანდო ხოუხვა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში უკეთესიც შეიძლებოდა. ასეა თუ ისე, ერთი მისანიშნავი ნაბიჯი გადადგმულია დღეს ყველა სოფელს ჰყავს თავკაცი, წინაძღოლი რომელიც სოფელს დაუჯერის და მთავრობასთან ურთიერთობას მიანდობს. თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება თვითმმართველობის ეს ინსტიტუტი, ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ამ ბევრში არცთუ მცირე როლს თამაშობს გამგებელი, მისი პასუხისმგებლობა მინდობილი სოფლების ბედისათვის..

კაცმა რომ თქვას, არც სხვა სოფლების გამგებლის აწყენდათ კოლეგის ამ ნაბიჯზე დაფიქრება და თავიანთ საგამგებლო ტერიტორიაზე სოფლის თავკაცთა ინსტიტუტის დამკვიდრება.

ახალმა გამგებელმა, გარდა იმისა რომ პურის ცხობა განაახლა (ცხადია, კომერციულ ფასებში) ორბელში, სხვა სიახლეც შემოიტანა—შექმნა სოფლის სასურსათო კომისია (ხელმძღვანელი გია ბურჯალიანი), რომელშიც ყველა სოფლის წარმომადგენელი შევიდა. კომისია თვეში ერთხელ საკრებულოს გამგეობას წარუდგენს ანგარიშს შემოსული პურის (სხვა პროდუქტებზე, რა თქმა უნდა აქაც არაა ლაპარაკი) განაწილების შესახებ. სოფლებში პურის განაწილება—გაყიდვა ხდება სასურსათო კომისიის წევრის ზედამხედველობით (ცოტა დაუჯერებლად კი მეჩვენა, გამგებელმა რომ განმიცხადა, სიები დაზუსტებულიაო. ლაპარაკია ნორმირებული პროდუქტის განაწილების სიებზე, რომელთა დაზუსტებაც, თამამად შეიძლება ითქვას, თითქმის სრულიად საქართველოში გაჭირდა..

ორბელის საკრებულოს ყველა სოფელში მუშაობს მიწის საპრივატიზაციო კომისიები. სხვა საქმეა, თუ როგორ მუშაობენ ისინი. გამგებლის თქმით, მიწის პრივატიზაცია თითქმის მთლიანად დამთავრებული წილამიერში, კურცხეში, ზედა ლაჯანაში, ხოლო ლეშკეთში, სპათაგორში და ლაცორიაში (ამ სოფლებს ურთმანეთთან აქვთ დავა მიწის გარკვეული ფართობების გამო) მხოლოდ აზომვაა ჩატარებული, პრივატიზაციაზე კი საუბარიც არ შეიძლება. ჯერ. მაგრამ როდემდე? სანამ მიწის კანონი არ გვექნება, ამბობს ბატონი ოთარი და მიწაზე მოთხოვნილების რეგულირებას გადასახადის ოდენობას უკავშირებს. და მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრს კარგი „გასავალი“ აქვს არა მხოლოდ სოფლის გამგებლებში, ვბედავ კითხვის შებრუნებას: ვთქვათ და დააგვიანდა მიწის კანონს (პარლამენტარული კანონშემოქმედების ჩვენში უკვე ტრადიციადქცეული კუს ტემპის გამო მისი მიღება შეიძლება კიდევ წლობით გაჭიანურდეს), რას უშველით უმიწოდ დარჩენილებს, ან სადამდე ფიქრობთ მიწაზე დავების გადაუწყვეტლობას, სანამ „გორდის კვანძივით“ იოლ გამოსავალს მოძებნის ძალანი და მოშულარს ნაჯახით გაუჩეხს თავს? სხვათაშორის ეს სამწუხარო პერსპექტივა მით უფრო რეალური გახდა, რაც უფრო გაჭირდა ცხოვრება და დაფასდა მარჩენალი მიწა.

მოსვლისთანავე ერთი ფიქრი აეკვიატა და მაშინვე შეუდგა ნაფიქრევის რეალიზაციას—ლაჯანურის ხეობა ნაკრძალად უნდა გამოვაცხადებინოთო მთავრობას. ხეობიდან უკვე რა ხანია დაუსრულებლივ გადის უძვირფასესი ხე-ტყე, დაურიდებლად ბრაკონიერობენ უცხონი, იხოცება ხადირ-ფრინველი, აოადა, ეს ყვავილოვანი სატყე, ხადირ—ფრინველი, ლაჯანურის თევზი და უნიკალური საბჭოთალი წყლის ჩაის, ლეჩხუმის სიმდიდრეა. ამ სიმდიდრის პატრონობა უნდა და ჩვენ ეს შეგვიძლია, დარწმუნებით ამბობს ბატონი ოთარი,—ლამიჭალასთან ხეოგილს ვაკეთებთ, გრაფიკის მიდგმა და მორიგეობას დავაწესებთ, უკვე 50 კაცმა გამოთქვა მორიგეობის სურვილი—ბუნებრივია, ჩიტის ბუდეც არ გავა აქედან ჩვენს გარეშე, რაიონის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი ნებართვის გარეშე. მერე კი, „მწვანეებში“ მეგობრები მყავს, იქნებ ნაკრძალად გამოვაცხადებინოთ ხეობა, იმეორებს გამგებელი და მეც მიხარია. მაგრამ „მაკვარანცხი“ ფიქრი მაინც იელვებს გონებაში,—კარგი და უცხოს არ გავატანეთ, უნებართვო ფიჩხიც არ გავიდეს ტყიდან, მაგრამ ხებადართულ ბრაკონიერობასთან თუ შეგვიძლია ბრძოლა?

* * *

ორიოდე კვირის წინ ორბელში დიდი მოვლენა მოხდა—ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მამებმა 80 ბავშვი მონათლეს. ეს დიდი დღე იყო ორბელ—ლაჯანის ეკლესიათათვის და როგორც ჩანს, საკრებულოს ხელმძღვანელობისთვისაც. გამგებელმა და მისმა ხელქვეითებმა კარგი მასპინძლობა გაუწიეს სასულიერო პირთ და ხალხს ქრისტიანული მორჩილების მაგალითი მისცეს. ლაჯანურის მირონიანმა წყალმა წაიღო ბევრი ცოდვა—ბრალი ჩვენ კი იმედი დაგვიტოვა, იმედი იმისა, რომ საქართველოში კვლავ დადგება დრო, როცა პოლიტიკა და ეკლესია მხარდამხარ ვიდოდნენ და ორივენი ერთად ძლიერ სახელმწიფოს აშენებდნენ.

**ია ხმელიძე.**

რეზონანსი

# წუთისოფელი

## ანუ

## დაგვიანებული პასუხი ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგებს

ზოგიერთი ხელმძღვანელი გვიქადაგებს: „მასწავლებელი ყოველგვარ სიტუაციაში მასწავლებლად რჩება“. კი ბატონო, ელემენტარულად ადამიანური პირობები მაინც თუ აქვს, ყოველ დღე ნორმალურ გამომცხვარ პურს რომ ღებულობს, მატერიალურად ხელეწიფება პრესა, რადიო და ტელეგადაცემები, კინოსურათები. ჩვენ სოფელში ვართ, ბნელში; შუქი კვირაში 1—2 ჯერ თითო საათით თუ მოვიდა და ისიც შუადღეზე ან ნაშუადღევს.

უკვე თვეა აღარ ვმუშაობ. ერთი თვის პენსია „გულისხმიერი“ დირექტორის წყალობით დამეკარგა. ჯერჯერობით არც პენსია, არც რაიმე ჰუმანიტარული დახმარება არ მიმიღია. რაიონის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ თვეში 6 კგ. პურის ფქვილს გვაძლევენ მაგრამ მესამე თვეა ისიც შეწყვიტეს.

ცაგერის და რაიონის სხვა სკოლებშიც იქნები ან ჩემზე გაჭირვებულნი, რომელნიც თანამიგრძნობენ. წლეულს 7 აპრილს ...რთულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი ვისი ხელწერაცაა ვიცი.

ძალიან გამიგრძელდა მატერიალურზე წერა, მაგრამ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“— მე არ ვიცი ქალაქ ცაგერის მცხოვრებთა ახლანდელი მატერიალური მდგომარეობა. სოფლებში კი მშობლებს არა აქვთ საშუალება შვილებს სასკოლო სახელმძღვანელოები და ნივთები შეუძინონ შავ ბაზარზე. ჩემი დირექტორი უკანასკნელი წლების მანძილზე მასწავლებლებს ხელფასიდან გვატოვებინებდა ფულს წიგნების შესაძენად წიგნები ჯერაც არსად ჩანს როცა სკოლას ვტოვებდი. მოვთხოვე ფული. მიპასუხეს—ფული განათლებას ჩავაბარეო.

ჩემო საყვარელო კოლეგებო, მე ერის მომავალი საქართველოს ხვალინდელი დღე რომ მაწუხებს, მიტომ დავტოვე სკოლა, ბავშვები.. რომელთა სწავლა—აღზრდა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, აღარ შემეძლია.

რას ვასწავლით ახლა ბავშვებს? მამული? რაღა დაგვრჩა „გულის ოდენა“ საქართველოდან?

ენა? უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე იმდენი ბარბარიზმები, ჟარგონები უცხო სიტყვები მესმის ცენტრიდან, რადიოდან ტელევიზიდან, რომ ლექსიკონებში [illegible] ვეღარ აუვედი და მივანებე თავი.

სარწმუნოება? მღვდელი მევაჭრება ჭირისუფალს, თუ მომცემ ამდენ რუსულ ფულს ან დოლარს, წამოვალ და წესს ავუგებო. ყოფილი კაცის ეკლესიას, ქურდებს აფერისტებს ახალფორმაში დალოცვილს უტარებენ საეკლესიო ცერემონიალს თავისით მსგავსთ და ჯვარს ჰკიდებენ, ყველა დაპატიმრებულს ჯვარი ჰკიდია გულზე და „დაქურდულს ასამართლებენ დაუჭერელი ქურდები“— (დ. ჯანელიძე)

ახლა მილიცია და პოლიცია? (ჩვენს რაიონს ჯვარი წერია) უმრავლესობა მათი თანამშრომლებისა კრიმინალებია.

ჩემს სულს მოთმინება, ძალა და სიმხნე მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ ჩამქრალა მაგრამ უიდეო სწავლება არ შემიძლია. სწორედ ის მაწუხებს, რომ „ერთი ხელის მოსმით ყველაფერი მორევში გადავუძახეთ (არა მარტო სულიერი, მატერიალურიც) რომ რასაც დღემდე ვუერთგულეთ, ყველაფერი ყალბი და ძალით თავსმოხვეული ყოფილა“.

ახლა პატარებმაც ჩვენზე უკეთ იციან, რა ხდება. ვინ შიმშილობს, ვინ მდიდრდება. გამდიდრებას გრამატიკა და ლიტერატურა არ სჭირდება.

მე მოხუცი ვარ, გზა ვუთმე ახალგაზრდებს, ჯვარი სწერია მათ, შემწეობდეთ უფსკრულის პირას (მე მგონია, უფსკრულში ვართ) მისული ქვეყნის საქმის გამოსწორება.

რაც შეეხება ქართულ ენას, ის საქართველოში მცხოვრებთაგან ორ პროცენტს აღარა გვაქვს შერჩენილი. მე მშურს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისა. სწორედ მათშია შენახული ქართული გენი მათი იმედი მქონდა მაგრამ თანდათან ესეც მეკარგება. ჩვენი ბიზნესმენები რომ ჩადიან იქ, ისეთ რამეებს სჩადიან.. აქ ჩამოვლენ და ვძარცვავთ, ვატყუებთ მსოფლიოს თითქმის დავუმტკიცეთ რაც ვართ.

წუთისოფლის კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ისეც გმირობაა დიდი (ი. ნ.)

ეს და ერთი თანამედროვე ქართველი პოეტის ერთი სტროფი მამაგრებს ღმერთი და ღმერთივით კაცები სად და ვის

(დასასრული მე—4 გვერდზე)

ფოსტა

## კრიტიკულ მომენტში მოგვეშველენ

ამას წინათ ნარჩენების განადგურებისას ნაპერწკალი ჩავარდნილა თივის საწყობში, რამაც გამოიწვია ხანძარი. მიუხედავად ჩემი მეზობლების თავდადებული შრომისა, რომლებიც ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას, ჩვენი შრომა თითქმის უშედეგო იქნებოდა, რომ არა ცაგერის სახანძრო რაზმის მებრძოლები, რომლებიც სწორედ კრიტიკულ მომენტში მოგვეშველნენ. ყველა ორგანიზებულად ასრულებდა თავის მოვალეობას და სულ რამდენიმე წუთში ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. გადამირჩინეს რამდენიმე დამხმარე შენობა. რაზედაც დიდ მადლობას ვუხდი ცაგერის სახანძრო რაზმის მებრძოლებს და ყველას, ვინც დამეხმარა.

**აკაკი კალანდაძე.**

## ახალი აფთიაქი მოგემსახურებათ

**მახაში საკმაოდ დიდი სოფელია. ორი კვირის წინ სოფლის ცენტრში კუკური შოთას ძე გასვიანის თაოსნობით აშენდა სამ ოთახიანი ბინა, რომელშიც გაიხსნა კომერციული აფთიაქი, აქ მუშაობს გამოცდილი ფარმაცევტი შორენა ოთარის ასული სვანიძე. აფთიაქი მომარაგებულია ყველა სახის მედიკამენტებით, მუშაობს ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე.**

**მობრძანდით, ახალი აფთიაქი მოგემსახურებათ.**

**ვალერიან ჯამბურიძე.**

1989 წლიდან რაიონში შეიქმნა და მოქმედებს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი". წელს ასოციაცია გამოეყო რესპუბლიკურს და არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

ორგანიზაცია დახმარებას უწევს მარტოხელებს, მძიმე ავადმყოფებს, ბავშვობიდან ინვალიდებს, სულით ავადმყოფებს ობლებს.

წელს აგვისტოში შემოვიტანეთ ტვირთი, რომელიც გაუნაწილდა დიაბეტით დაავადებულებს, მარჩენალ დაკარგულებს, სულით ავადმყოფებს.

## ქველმოქმედება

## «კათარზისი» ახალ დახმარებებს გეგმავს

ორგანიზაცია ცდილობს დახმარებამ რაც შეიძლება დიდი კონტიგენტი მოიცვას ამიტომ მოგიწოდებთ ყველას—მოსახლეობას, კომერციულ სტრუქტურებს, წარმოება ორგანიზაციებს შემოიტანოთ შესაწირი თანხა ჩვენს ანგარიშზე, გაწევრიანდეთ ჩვენთან (საწევრო შესატანია 1000 კუპონი), რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად ვიმოქმედოთ, გვერდით დავუდგეთ გაჭირვებულთ, კვლავ შემოვიტანოთ სხვადასხვა ჰუმანიტარული დახმარება.

შემოტანილი ტვირთის განაწილებისათვის მუშაობს კომისია, რომელშიც შედის სხვადასხვა წარმოება—ორგანიზაციის წარმომადგენელი ამის მიუხედავად, შეიძლება მოხდეს უზუსტობანი, სიებში გამორჩეს ვინმე და ა. შ. ამიტომ გთხოვთ ადგილობრივ საკრებულოებს, ყველას შეგვატყობინოთ, გადმოგვცეთ ზემოთ აღნიშნულ კატეგორიათა სიები, რათა გავითვალისწინოთ მათთვის დახმარებები.

ორგანიზაციას გეგმაში აქვს შემოიტანოს მედიკამენტები, ქალაქის ცენტრში მცხოვრები უპატრონო მოხუცებისთვის გახსნას სასადილო. უზრუნველყოს მარტოხელა მოხუცები ყოველდღიური კვებით ან ზოგიერთი აუცილებელი საკვები პროდუქტი მიაწოდოს მათ ყოველდღიურად უფასოდ.

ერთი სიტყვით, „კათარზისი" თქვენს გვერდითაა, თქვენ გემსახურებათ.

**მერაბ ახვლედიანი,**

**„კათარზისის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.**

## სენსაცია

ულმობელია კიბო. სიმსივნე თუ ადრეულ სტადიაში არ გამოვლინდა, ავადმყოფი სასიკვდილოდ განწირულია. კარგად განვითარებული სამედიცინო დახმარების სისტემის მქონე ქვეყნებშიც კი, საწყის ეტაპზე შედარებით ნაკლები ავადმყოფებს გამოავლენენ, როგორც გამოკვლევა მოწმობს, სარძევე ჯირკვლის კიბოს უმეტეს წილად ექიმი კი არა, თვითონ ქალი ან მისი ქმარი აღმოაჩენს ხოლმე. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოში ყველა სატკივარით დაავადებულ ადამიანთა საერთო რიცხვთან შედარებით, კიბოთი გარდაცვლილი ავადმყოფების რაოდენობა ძალზე დიდია. ყოფილ სსრ კავშირში ეს მაჩვენებელი 0, 69—0,68 პროცენტი იყო, აშშ-სა და კანადაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ არც თუ დიდად განსხვავებული 0,53—0,5.

აქამდე სხვადასხვა ქვეყნის ექიმთა და სწავლულთა ყველა მცდელობა კიბოსთან ბრძოლის საშუალებათა აღმოსაჩენად უშედეგოდ მთავრდებოდა. ამიტომაც შესაძლოა 1993 წლის 27 ივლისი ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ თარიღად შევიდეს მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს რუსეთის სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა სიმსივნის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის და რიგ ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ახალი მეთოდის ავტორს. რუს ქიმიკოსს ტამარა ვორობიოვას ერთდროულად ოთხი საავტორო პატენტის მიღების გადაწყვეტილება გადასცა. მსოფლიოში პირველად გაატარეს რეგისტრაციაში წამალი, რომლითაც კიბოს მკურნალობა შეიძლება—აღინუსხა მოვლენა, რომლის მსგავსი თანამედროვე ფარმაკოლოგიამ მანამდე არ იცოდა.

### განადგურება თუ აღდგენა?

ყველაფერი 1988 წელს დაიწყო, როდესაც ქიმიკოს-ანალიტიკოსი ტამარა ვორობიოვა ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის საკუთარი მეთოდის შემუშავებას შეუდგა. პრინციპი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა, საერთოდ არ არის ახალი. ცნობილია, რომ უმეტეს სნეულებათა მათ შორის ონკოლოგიურ დაავადებათა ბიძგის მიზეზი ადამიანის იმუნური სისტემის დარღვევაა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ: რადიაცია, მიკრობების შეჭრა, ან ფსიქიკურ—ემოციური გადატვირთვა. ამდენად, მედიცინის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა დაავადების შემთხვევაში ორგანიზმს დაუბრუნოს მავნე ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის შესაძლებლობა, აღუდგინოს თავდაპირველი წონასწორობა.

ონკოლოგ-მკვლევართა უმეტესობა პრინციპულად განსხვავებულ გზას ადგა. ისინი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ არა აღდგენას, არამედ ზემოქმედების გარეგანი მეთოდებით დაზიანებულ უჯრედთა განადგურებას, ისევ და ისევ რადიო და ქიმიოთერაპიით. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ავთვისებიან წარმონაქმნთა წინააღმდეგ საბრძოლველად ორგანიზმის მობილიზების ცდები მაინც იყო. ათი წლის წინათ, 1984 წელს ასეთი ხერხით კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატის გამოგონების განაცხადი გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ონკოლოგიურმა ცენტრმა: მის მიერ შემუშავებული პრეპარატები, რომელთა შემადგენლობაში ვერცხლისწყალი შედიოდა, დიდი სიმსივნესაწინააღმდეგო აქტიურობით გამოირჩეოდა. მაგრამ მამინდელი გამოკვლევები ძალიან ჩაფლავდა. კლინიკურმა გამოცდამ ამ საშუალებათაგან მრავალთა ძლიერი ტოქსიკურობა ცხადყო და მათი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა.

# კიბოს წამალი

## ვორობიოვას აღმოჩენა

## მილიონობით ავადმყოფს აიმედებს

მას შემდეგ ამოცანად დაისახეს მიეგნოთ წამლების ისეთი შედგენილობისა და პროპორციისათვის, რომლებიც მათი გამოყენების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. სწორედ ამ პრობლემაზე დაიწყო მუშაობა ვოროხიოვამ, რომელმაც 1989 წლის თებერვალში თავისი გამოკვლევა საპატენტო ექსპერტიზის ინსტიტუტში განაცხადის შეტანით დაასრულა. ამავე წლის ივლისში მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საექსპორტო საბჭომ დაადასტურა, რომ ვორობიოვას მიერ შემოთავაზებულ ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხერხს „სრული ტექნიკური და მეცნიერული საფუძველი აქვს". შემდგომი ეტაპი პრეპარატის კლინიკური გამოცდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოუსწრო ეკონომიკურმა კრიზისმა და ვერც საკავშირო ფარმაკომიტეტმა, ვერც მეცნიერებათა აკადემიამ ამ გამოცდისათვის ფულის გაღება ვერ შეძლეს. გამოცდის დაწყება მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1991 წლის მარტში, მოხერხდა კიევში, პარადელ უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის [illegible] ენკოს თანადგომის წყალობით.

გამოცდის შედეგი თვით სპეციალისტებისათვის გამაოგნებელი აღმოჩნდა. მკურნალობით ავთვისებიანი სიმსივნე თანდათანობით კეთილთვისებიანში გადაიზრდებოდა, შემდეგ კი საერთოდ რეგრესირდებოდა. გამოცდის დაწყებიდან სულ ორი თვის თავზე ფარმაკოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა გამოიტანა დასკვნა, რომ წამლის სიმსივნესაწინააღმდეგო აქტივობა ათჯერ აღემატება სსრ კავშირის და აშშ-ის სტანდარტებს. რეგისტრირებული იყო ოსტეოგენური სარკომითა და ფილტვის სარკომით დაავადებულ იმ ავადმყოფთა გამოჯანმრთელება, რომელთა სენი მეოთხე, დამამთავრებელ სტადიაში იყო. რაც მთავარია, პრეპარატის ტოქსიკურობა თითქმის ნულამდე დავიდა. მასში შემავალი ტოქსიკური ნივთიერებები უკვე ექვსი საათის შემდეგ პრაქტიკულად გამოდიოდა ორგანიზმიდან.

### ვიტურიდის პირველი ნაბიჯები

ახალი წამლისათვის თითქოს უდიდესი პერსპექტივა ისახებოდა, მაგრამ ამ დროს ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკურიც დაერთო. 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. 1992 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრ შოხინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და ჯანმრთელობის სამინისტროსადმი „განიხილეთ ტ. ვ. ვორობიოვას წინადადება მძიმე დაავადებათა ეფექტური საშუალებებით მკურნალობის შესახებ და დაეხმარეთ მას ჩაატაროს საჭირო გამოკვლევები".

დასასრული მე—4 გვერდზე

## ვისაც პოლიტიკა გაინტერესებთ...

შეგიძლიათ თქვენი პოლიტიკური შეხედულებანი გაგვიზიაროთ, იმსჯელოთ, იკამათოთ პოლიტიკურ კლუბში, რომელსაც თქვენთვის ქმნის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონული წარმომადგენლობა. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს პოლიტიკით დაინტერესებული ნებისმიერი პიროვნება პარტიულობის, ასაკისა და სქესის მიუხედავად. მასში გაერთიანდებიან სხვადასხვა, თვით კარდინალურად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მქონე პარტიათა წარმომადგენლები, უპარტიოები. თვეში ერთხელ კლუბი გამართავს საჯარო დებატებს გარკვეული თემისა და პროლემის გარშემო.

თქვენ გენიალური აზრები გაწუხებთ? მობრძანდით, ჩვენთან მათ გაიზიარებენ.

**მისამართი: ცაგერი რუსთაველის ქ№59 II სართული.**

**ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონული წარმომადგენლობა.**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონულ წარმომადგენლობასთან შეიქმნა ინტელექტუალურ თამაშთა კლუბი. მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვისაც ინტელექტსა და ერუდიციაზე აქვს პრეტენზია. კლუბის წევრობა თამაშში მონაწილეობას გულისხმობს, მაშ მობრძანდით და გაეჯიბრეთ სხვებს, იქნებ მართლაც „ცოცხალი ენციკლოპედია" ხართ, შეამოწმეთ თქვენი თავი, დაამტკიცეთ თქვენი უბადლო ერუდიცია. ინტელექტუალურ თამაშთა კლუბი, ასპარეზს გაძლევთ.

ალბათ ჩვენი წინადადება უფრო ბავშვებსა და ახალგაზრდებს დააინტერესებთ მაგრამ ასაკოვნებსაც შეუძლიათ მისი მიღება.

გვერწმუნეთ, საინტერესო, მხიარული და მიმზიდველი თამაში იქნება.

დაინტერესებულმა პირებმა 20 ოქტომბრამდე მიმართონ საორგანიზაციო ჯგუფს მისამართით:

**ქ. ცაგერი რუსთაველის ქ№59 II სართული ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონული წარმომადგენლობა.**

## ჩვენი ლიტერატურული არქივიდან

### ის გაზაფხული სხვა იყო მაინც

ის გაზაფხული სხვა იყო მაინც,
ცაში გაფრენას გული ლამობდა,
ბედნიერების ლურჯი ფრინველი
თავად არ ვიცი, რას მიგალობდა.
შენს ახლოს ვიყავ, და განშორების
გარდა—ყველაფერს ველოდი ალბათ,
და მგლოვიარე ჩემი თვალები
შენთან ვერასდროს ვერ გრძნობდნენ დაღლას...
ის გაზაფხული სხვა იყო მაინც,
ბებერი ქარიც აღარ ავობდა—
არ გსაყვედურობ, როდი გემდური
იმ წლების დარდი თან რომ გამომყვა.
მერე გაფრინდნენ გაზაფხულები
და ლურჯ ოცნებებს გაუქრა ფერი...
ველარ მოვძებნე ნაფეხურები
ზმანება იყავ, სხვა არაფერი.

**გიორგი ომანაძე.**

### სულ იციმციმებ

სიყვარულია შენი
სიმღერა
და ემბაზიდან ცისფრად
იღვრება...
სულს აგიბორგებს როცა
დაისი,
მოვა ჩუმად და გულს
გადაგიხსნის...
სიყვარულია შენი
გალობა,
რიგდება თურმე ღვთისგან
წყალობად.
არ დაყაროო ძველი
ფარ—ხმალი,
იფურჩქნებაო კვირტი
ახალი!
ემორჩილები ამ ხმას
უხილავს,
გრძნობა ცისფერი
თამამი გხიბლავს.
თეთრი ტაძრისკენ მიდის
ბილიკი,
ვერას დაგაკლებს სხვათა
ქილიკი!..
გადარეკს ღრუბლებს
ქარი იული,
მოვა ცხოვრება არა
ჩვეული...
თუმც დაგაწვება წლების
სიმძიმე,
მაგრამ იმედად სულ
იციმციმებ.

### როგორ გგონიათ

მარტოობა უჟეფს დაზაფრულ სულს,
როგორც ავყია ძაღლი—ქოფაკი,
გრძნობა ჯინივით ჩამძვრალა ბოთლში
და ჩარაზულა ვით სარკოფაგი...
სუნსულებს სუსხი მეტად საზარი.
აპნისის ქარი ჟრუოლად მედება...
სიმღერა ძველი, ფრთათეთრი გედის
მგონია, ჩემთან ერთად ბერდება...
გულს კი.. ღალატით ასჯერ აჩეხილს,
აღარა ძალუძს მეტის ატანა!
და მაინც ცოცხლობს, დიდგულობს მაინც
როგორ გგონიათ, სძლია სატანამ?.

**დარეჯან ჩორგოლიანი.**

# კიბოს წამალი

## ვორობიოვას აღმოჩენას მილიონობით ავადმყოფს აიმედებ

(დასასრული).

კარელიის ჯანდაცვის მინისტრის დახმარებით 1992 წლის ოქტომბერში წამლის კლინიკური გამოცდა დაიწყო ახლა ამ რესპუბლიკის რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში. კომპიუტერის კარტოთეკამ, რომელიც ვიტურიდით ნამკურნალები პაციენტების ასობით ავადმყოფობის ისტორიას შეიცავდა, კიდევ ერთხელ მთლიანად დაადასტურა წამლის უნიკალური თვისებები. ონკოლოგიურ დაავადებათა გარდა, ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე მოქმედი პრეპარატი ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდა ფსორიაზის, ჰერპესის, ართრიტის, ჭლექის, სალმონელოზის და სხვა მრავალი დაავადების მკურნალობისას. სწორედ ყოველივე ამის საფუძველზე გადაწყდა ვორობიოვასათვის ოთხი პატენტი მიეცათ.

1993 წლის 8 დეკემბერს მათ დაემატა მეხუთე პატენტი, რომლითაც ვიტურიდი რეგისტრაციაში გატარდა, როგორც იმუნომოდულატორი. 1993 წლის დამლევს ტამარა ვორობიოვამ ბოლოს და ბოლოს, მიაღწია იმას, რომ შეხვედროდა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ედუარდ ნეჩაევს, რომელმაც მას ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. სამინისტროს სამსახურებს დაევალა უახლოეს დროში რამდენიმე მიმართულებით მაინც დაემტკიცებინა ვიტურიდის კლინიკური გამოცდის შედეგი. ამასთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტრომ პრეპარატის სამრეწველო წარმოების სამზადისი დაიწყო. რუსი მეცნიერის გამოკვლევისადმი ინტერესი ოკეანის გაღმაც გამოიჩინეს. ვორობიოვას წინადადება მისცეს, თავისი გამოგონება რეგისტრაციაში გაეტარებინა აშშ—ში, სადაც იყნოსეს რა სენსაციაა, მეცნიერს ერთდროულად რამდენიმე ფირმამ შესთავაზა თანამშრომლობა.

### მილიონობით იმედი

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ისტორია ვიტურიდისა, რომელსაც ყველა შანსი აქვს საუკუნის აღმოჩენად იქცეს მედიცინაში, მხოლოდ ახლა იწყება. თუ სიმსივნესაწინააღმდეგო ახალი პრეპარატის აქტივობის უკვე მიღწეულ შედეგებს დაადასტურებს შემდგომი კვლევა (ყველაფერი კი სწორედ აქეთ მიდის), მოსკოველი ბიოქიმიკოსის წამალმა კაცობრიობას შეიძლება მისცეს კიბოსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლის უნიკალური საშუალება. რუსეთში 1991 წელს ონკოლოგიურ ავადმყოფთა რიცხვი 391 ათასიდან 1992 წელს 400 ათასამდე გაიზარდა და პროგნოზის მიხედვით, საუკუნის დასასრულს 489 ათას გადააჭარბებს. მთლიანად მსოფლიოში კი ონკოლოგიური დაავადებებით ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი იღუპება. მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა რუსეთში რეგისტრირებული პრეპარატი ამ ციფრის რამდენჯერმე შემცირებას.

**ანდრეი ბაიდუკი**

ჟურნალი „ნოვოე ვრემია" № 5.

# წუთისოფელი

(დასასრული).

[illegible] შიში აქვთ უპირველეს ყოვლის" (ჯ. ჩარკვიანი).

შიშით შეყვარებული უამრავი ღმერთი დაიმსხვრა, შიშით შეყვარებული ხელისუფალნიც გაქრნენ, ცეცხლი და მახვილი მხოლოდ სიძულვილს და ნგრევას შობს, მაგრამ ყველაფერს აქვს ჟამი და ბოლო.

ჩემო კოლეგებო, ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

**თინა ასათიანი.**

სოფ. ორხვი.

# გილოცავთ

**ვლადიმერ, ლილი დავითულიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, კვლავაც გამრავლება, სიხარული მოგველოცოს.

**გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი.**

---

**ნინო, თემურ გოგუცა დიმიტრი ირემაძეებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ოჯახისა და ერის სასახელო.

**მიშა მუშკუდიანი ოჯახით.**

---

შვილები ვაჟა, ინგული, ციცო, ძმა გერონტი და ოლია, რძლები ვერა, ლეილა, სიძეები ვახტანგ ნემსწვერიძე, ზაურ ჩაფრავა, შვილიშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები ცოლისძმები ოთარ, ჯუმბერ კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

**ლუდუკი კოსტას ძე მუშკუდიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ოქტომბერს, შაბათს სოფ. ოყურეშში.

---

ციცო, ნელი სადილიანები, ლია ბუბავა, ლია ხვადაგიანი, ინგა თოთაძე, მანანა კოპალიანი, მედიკო ნემსაძე, ციცო ლიპარტელიანი, მანანა გოგიძე, ლია მუშკუდიანი, აზა ირემაძე, მანანა სალინაძე, მაია გახოკლიანი, გოგი გოგიძე თანაუგრძნობენ თინიკოს, თამაზ კენჭაძეებს

**დემურ ნებიერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს თინათინ ნებიერიძეს და თამაზ კენჭაძეს

**დემურ ნებიერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ პავლე ბაკურაძეს დის,

**მარგალიტა იონას ასული ბაკურაძე—ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ავჩია ჩხეტიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჰირისუფალს

**ავთო გენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, გურამ გორის ლეთოდიანები, გენური გენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გულიკო ხვადაგიანი.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის 10—11 კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაუგრძნობენ მაყვალა, სამსონ კოპალიანებს დედისა და მეუღლის

**კლავდიას**

გარდაცვალების გამო.

# განცხადება

იყიდება წიგნები:

ვ. ოსეევა—ოთხტომეული (რუსულ ენაზე).

ვ. მაიაკოვსკი—10 ტომი—(რუსულ ენაზე).

ი. ტრიფონოვი—3 ტომი (რუსულ ენაზე).

ბალზაკი—ღარიბი ნათესავები (რუსულ ენაზე)

ერტელი—გარდენინები (რუსულ ენაზე)

ჯ. სტეინბეკი—6 ტომეული (რუსულ ენაზე)

ფასი შეთანხმებით.

დარეკეთ ტ 27—24.

**პასუხისმგებელი—რედაქციის კოლექტივი**

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №66 ტელეფონი 28—81.

ცაგერის რაიონული სტამბა.